ოქმი:**ო03. 3723118001**

თარიღი:**28/04/2023**

**ოქმი № 8**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო**

**კომისიის სხდომის**

2023 წელი, 27 აპრილი

ქ.ოზურგეთი

14.00 -14.30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ბ. მელუა, ქ. ხომერიკი, მ. ვაშალომიძე, ტ. აროშიძე, გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

**მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი**

**თანამომხსენებელი: პ. ჭყონია**

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის ძირითადი პარამეტრები, ხოლო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსულობები და ხარჯები, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

**გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს კომისის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი

საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროს და საკრებულოს მორიგ სხდომებზე განსახილვისა და ცნობად მიღების მიზნით.


გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი